

რედაქცია: ს. ლოლაძე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციის შიგნით მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи, ВЪ редакціи газ. „Дროზда“

გაზეთის ფასი მთელის წლისა— 8 მან., ნახევარ წლისა— 5 მან., სამის თვისა— 3 მან., ერთის თვისა— 1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორ აბათს გარდა

ფასი განსხვავდება: დღე ერთ ასობზე— 1 კაპ., ერთ-მთავრულით სტოქჰოლმზე— 8 კაპ., ჩეკოვსკის ციკლოთი— 2 კაპ., პატარათი— 1 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლდეს დასაბედად გამოგზავნილი სტატიები დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ კვირის საფუძვალს, ხელმოწერის დღეასწავლის გამო, გაზეთი არ გამოვა.

ამ 1879 წელს გაზეთი „დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

მთელი წლის მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლში, № 33.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи, ВЪ редакціи газетъ „Дрозда“.

გაზეთის ფასი

მთელის წლისა	—	8 მან.
მეცხის თვისა	—	5 მან.
სამის თვისა	—	3 „
ერთის თვისა	—	1 „

გაზეთმა „რუსსკი პრადამ“ მიიღო მთავრობისაგან მესამე „გაფრთხილება“ და ეს გაზეთი ოთხი თვით შეაჩერეს; ჟურნალმა „მტეჩესტვენი შაპისკებმა“ მიიღო პირველი გაფრთხილება. ღენერალ ბურკოს მისცეს წმ. მიოზრის ჯვარი მეორე ხარისხისა.

ლონდონი, 15 თებერვალს. მინისტრმა ნორტოტმა საზოგადოებათა პალატაში შეიტანა წინადადება, რომლის ძალითაც მთავრობა თხოულობს ზუღსუბთან ომისათვის ერთ-მილიონ-ნახევრის გირვანქა სტერლინგის დახარჯვის უფლებასა. გაზეთის „სტანდარის“ სიტყვით, ეს უფლება მიენიჭება მთავრობას.

ბუხარესტი, 16 თებერვალს. დეპუტატების პალატამ გადაწყვიტა, რომ 27 მარტამდან განაგრძოს თავის სხდომები, რომ კონსტიტუციის პროექტის განხილვა შეიძლოს.

ტაშკენტი, 12 თებერვალს. ღენერალ ტაუფმანს გამოეცხადდნენ ავღანის ელჩები; მძირის თაობაზე არაფერი ახალი ამბავი არა არის-რა.

პეტერბურლი, 16 თებერვალს. „მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ გუშინ, 15 თებერვალს, დილის 6 საათზე, გარდაცვლილა ხარკოვის ლუბერნატორი თავადი პრაპოტკინი.

ოლონდ მაშინა პასუხს არ გაგცემ, არ შევიწუხებ ტკბილ განსვენებას; და თუ ცოცხალ ვარ, ვეტრფი, თაყვანს ვსცემ ჩემს სულის მოთქმას, ოცნებ-რწმუნებას! ბრ. შმწიფარიძე ოღესსა, 1878 წ.

მასლათი
ღიღი მარხვა—ვილოცობ!—ღამშეულ ქობულეთელთათვის.—ქართული სამუდამო სცენა.—„წაბიძგება“ უფ. მაიორის იოსელიანისა.—ახალი ქართველი პოეტი.—მანათლებელ და გრძნობა.—ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგები.—რა ეჭირება ნამდვილ პოეტს?—
დადგა დიდ-მარხვა!—ღრო ლოცვისა, შენანებისა, ერთმანეთის ცოდვების შეწყნარებისა და შენდობისა. ღრო, როდესაც ყოველი ქრისტიანი ვალდებულია, ცოტა ხნით მაინც, დაივიწყოს

პეტერბურლის ბირჟა, 12 თებერვალს. (ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	— 96—75
მეორე	— 95—87
მესამესი	— 95—
მეოთხესი	— 95—37
ალმოსავლეთის პირ.	— 93—
ალმოსავლეთის მეორე	— 92—87
მქრო, 1/2 იმპერიალი	— 8—49
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი	— „ —
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	მან. კაპ.
პირველი სესხის	— 234—25
მეორე სესხის	— 235—
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი	— 23—15 პენსი
ამსტერდამი	— 116—25 ცენტი
ბერლინი	— 200—25 ჰფენიგი
პარიჟი	— 247—50 სანტიმი
პავსაისის კერასინი	— „ —

საქართველო

სიძვირის უსაამაუშავლად „ათასი გზა მიდის იერუსალიმამდინაო“, ნათქვამია. მსევე ითქმის იმ სიძვირის მოსპობაზედაც, რომლისაგან ასე

ხორცი და შეუდგეს სულს, დაივიწყოს მატერიალური და შეუდგეს ზნეობის. მილოცობ! ბევრი ცოდვები გვაქვს! ცოდვები კერძო და ცოდვები საზოგადო, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, საერო ცოდვები! ძველი ცოდვები, ახალი ცოდვები და მომავალი ცოდვები!

მომავალ ცოდვებში ჩასათვლელი იქნება, სხვათა შორის, ჩვენი დამოკიდებულება ბათუმის მაზრის ქართველებთან:

წარმოიდგინეთ მდგომარეობა. ხალხი სამი წელიწადია დაიარაღებული ფეხზე დგას. ამ ხნის განმავლობაში იმას არც უხნავს, არც უთესნია და, მაშასადამე, არც არა მოუშკია. ოჯახობა, სახლ-კარი, ყანა-მინდორი აკლებული გარეშე და შინაგან მტრისაგან. მთელი სოფლები გადამწვარი ისე, რომ ქვა-ქვაზედ და ფიცარი-ფიცარზედ აღარ დარჩენილა! ხალხი მშვიერი, მწყურვალე, ტიტველი...
და ეს ხალხი რომელიმე ვიგინდარა, უცხო ხალხი კი არ არის,—ეს არის ჩვე-

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)
პეტერბურლი, 15 თებერვალს. ღღეს დილით გარდაიცვალა დიდი მთავარი შიანესლავ კონსტანტინეს ძე.

ფელტონი

მოტყუებულს
ჩაზედ მიილაგ გულის, კაცო ურწმუნო: მითომც განქრესო ჩემი ოცნება, მან დამამწაროს, მე მას უმტყუნო, ბადამიბრუნდეს საწყლად გუნება?
ნატერა არ მაფრენს შორს, უწვდელ ხეცას, ბუღს არ იტაცებს ზღაპრულ-ციური: სრულად ვეკუთვნი ჩვენს ცოდვილ მიწას, სადაც ბევრს გვიჭირს ლუქმა დღიური...
სად ფეხ-ქვეშ სთელავა უძლიურს ძლიერი, ძმებმა დასწყველეს დედის ნანინა, ზეცას შეტერის ბედ-კრული ვერი, ბალიღველიც არსით არვინა!
მაშინ დამცინე, სულით უძლიურო, როცა გამიქრეს სიცოცხლის აღი, საფლავს ჩამძხე ხმა უგემური: „ბანჭკრა ოცნება, ვაჰ შენი ბრალი!“



შევიწროებულია ამ ქვედა ჩვენი ქალაქის ღარიბი ხალხი. ათასი საშუალება არი სიძვირის მოსასპობილად.

მაგრამ უმთავრესი ამ საშუალებათაგანი, უჭველია, არის ი, რომ სოფლის მწარმოებლებსა და ქალაქის მოძახარე-ბლებსა ანუ რაც შეიძლება ნაკლები შუამავლები იყვეს. სანამ ეს შუამავლები, ეს ვაჭრები და ჩარჩები იქნებიან, რომელნიც მუდამ სოფელ-სოფელ და წაწალობენ, გაჭირებულ ხალხს მიადგებიან კარზე და მეოთხედ ფასაც გამოართმევენ პურს, ღვინოს, ყველს, წვანილს და სხვა ყოველგვარ ხორაგულს და მერე ჩამოიტანებენ ქალაქში, უცდიან მაზანდას, და ერთი-ოთხად გაჰყიდიან, — მანამ ჩვენ სიიფეს არ უნდა მოველოდეთ ქალაქში, რაც უნდა უხვი მოსავალი იყოს ყველაფრისა ჩვენს ქვეყანაში.

ამას გარდა არის კიდევ ორი სხვა საშუალება ამავე სიძვირის წინააღმდეგ: ერთი — ხეირიანი, პატროსანი ყურის-მგდებლები, ბაზარნიკები, რომელნიც ერთს გირვანქა ყველში ანუ წვანილში არ ჰყიდდნენ თავიანთ სინიდისსა და არ აძლევდნენ ვაჭრებს ნებასა, რომ როგორც ჰსურსთ და რა ფასათაც ესამოგენიმ ფასად, გაჰყიდონ ხორაგული საქონელი.

მეორე საშუალება კიდევ ის არის, რომ ქალაქში, სადმე შუა ადგილას, გაიმართოს ისეთი დიდი შენობა, თუნდა მარტო ზვიდამ-დახურული, სადაც სოფლის მწარმოებლებს პირ-და-პირ შეეძლოთ ჩამოტანა თავის ნაწარმოები ხორაგულისა და აქ გაყიდვა პირ-და-პირ იმაზე, ვისაც ეს ხორაგი ეჭირება, ე. ი. მოძახარებელზე. მკროპის თითქმის ყველა დიდ და პატარა ქალაქებში ამის ამისთანა შენობა (ჰალ) გამართული; დილით ადრე ჩამოაქვთ აქ სოფლებიდან პური, ყველი, წვანილი, კარტოფილი,

ახალი თევზი და სხვა ყველა გვარი საქმელ-სასმელი და ჰყიდიან. ქალაქის მამგობისაგან დაყენებულ პირებს ადვილად შეუძლიან ყური უგდონ აქ, რომ ტაქტიკა მტკიცედ იყვეს ასრულებული და სოფლის მწარმოებელი ისე არ იტარებოდეს ჩარჩებისაგან, როგორც ახლა იტარებდა.

ქალაქის მამგობას შეუძლიან დასდევს ტაქტიკა ყოველგვარ ხორაგზე. მართალია, კანონით მარტო ხორცზე და პურზე შეიძლება ტაქტიკის დანიშნვა; მაგრამ ქალაქი შეუძლიან სთხოვონ უმაღლესს მთავრობას, რომ ნება მიეცეს სხვა აუცილებელ სასმელ-საჭმელზედაც დანიშნოს ტაქტიკა და, უჭველია, რომ მთავრობა ამის უფლებას მისცემს.

მართის სიტყვით, როგორც ზემოთ ვსტკით, ათასი საშუალება და ღონისძიება მოინახება ქალაქში სიძვირის მოსასპობელად, როცა ეს სიძვირე ცოტა მოსავლისაგან, პირუტყვის გაწვევებისაგან და ან სხვა რაიმე მოულოდნელი ბუნებითი უბედურებისაგან არ წარმომდგარა, არამედ მხოლოდ ვაჭრების უსინდისობისა და უყურადღებლობისაგან. ათასი ღონისძიება მოინახება, თუ ქალაქის მამგობა, ჩვევა და პოლიცია ცოტა არის ხელს გაანძრევენ და მოინდომებენ...

ს. მ.

დღიური

* ჩვენ მივიღეთ ბათუმის მაზრიდან შედეგი საინტერესო და საყურადღებო ამბები:

„აჭარის, ბორჩხისა და შავშეთის მცხოვრებლების დღევა ნელ-ნელა ედება არტანის მაზრასაც. არტანის მცხოვრებლებმა ამოიჩინეს ოთხი სანდო პირი, რომელთაც გზავნიან თფილისში უმაღლეს მთავრობასთან სათხოვნელად, რომ,

ჩვენ, რომ ჩვენს შეძლებულ საზოგადოებაში არ ყოფილა არაფერი პოლიტიკური საქროების გაგება, არამედ თვით კაცთ-მოყვარეობის გრძობა და თავის თავის სარგებლობის ცნობა...

დავანებოთ თავი ამ სამწუხარო ამბავს. დღეს ჩვენ ორ სასიამოვნო და უფრო სასურველ საგანზედ გვინდა მკითხველთან მასლაათი.

პირველი ამ საგანთაგანი არის — ჩვენი ქართული სცენა.

ახლა კი ვატყობთ, რომ ჩვენი დიდი ხნის ნაჭერა და სურვილი აგვისრულდება. თეატრის საქმე ისე მიდის, რომ ჩვენ სრული იმედი გვაქვს წელს ქართული თეატრი გვექნება.

რომელიმე მძიმე საქმის გაკეთებისათვის ხშირად ერთი ხელის-კვრა, ერთი წაბიძგება, როგორც გურულები იტყვიან, არის საჭირო. ჩვენს თეატრს სწორეთ ამისთანა საქმე მოუვიდა: ბევრს ეწერდით, ბევრს ვყაყანებდით, ვყვიროდით, ვლაღაღებდით, რომ თეატრი გვინდა, ქართველი საზოგადოება თხოულობს ქართულ თეატრსაო, მოჰკიდეთ ამ საქ-

რადგანაც გავილ ომსაგან დაჭარბებები ვართო, ან რამოდენიმე წელიწადს ხარჯისაგან განგვათავი უფლებითო, ან ნება მოგვეცით მსმალეთში გარდასახლებისაო...

საუბედუროთ, აქაურ ჩინოვნიკობაში არიან ისეთი პირები, რომელნიც ისე პირ-და-პირ ეუბნებოდნენ ხალხს: გადადით აქედამ, ჩვენ თქვენ არ გვინდებხართ, თქვენი მიწა გვინდაო უჭველია, ეს უმთავრესი მმართველობის აზრი არ არის. მაგრამ ესენი ამ სიტყვებით უცრუებენ ხალხს გულსა.

„აქეთვე აქამოდინ დაქრებიან მსმალთს მოღლები და გადასახლებას ურჩევენ ხალხს.

ზოგაერთი ჩვენებურები ამტკიცებენ, რომ „ენერგიული საშუალება“ უნდა იხმაროს მთავრობამ ამ ხალხის და მოღლების წინააღმდეგაო. ეს დიდი შეცდომა იქნება. „ენერგიული საშუალებით“, ე. ი. ჯარით და აკლებით აქ ხალხში არა გარიგდება-რა. თუ ვაკეთდება რამე, ისევე ლმობიერებით, ხარჯით დროებით პატრებით და პატროსანი გამგეობით.

დიად სამწუხარო იქნება, თუ ჩვენი ხალხს ასეთი საუკეთესო, ცოცხალი და მოძრავი შეიონი, როგორც არიან აქარელნი, შავშეთელნი და სხვანი, იძულებული შეიქნენ, რომ აქედამ გადასახლდნენ.

* ჩვენ შევიტყეთ, რომ სომხების სამუდამო ტრუჰპის დირექტორობა უკისრნია თ. იაზონ დ. თუმანოვს.

ამბობენ, რომ ჩვენი მომავალი ქართული თეატრის დირექტორობა და საზოგადოთ თაოსნობა უნდა სთხოვონ უფ. დ. ი. შიფიანს.

ამაზე უკეთესი კაცის ამოჩივია, ჩვენის აზრით, ამ საქმისათვის ახლა ძველი იქნება სრული იმედი გვაქვს, რომ უფ. დ. ი. შიფიანი, რომელსაც ამდენი დამ-

ნი ძმა ხალხი, ესენი არიან ქართველები, რომელთ შემოერთებასა, რომელთანაც ძმობის განახლებას ჩვენ ასე მოუთმენელად მოველოდეთ, ასე ვნატობდით...

ამასაც მოვესწარით, ესეც გვეღირსა: შემოგვიერთეს ისინი.

მაგრამ რა მდგომარეობაში დაგვიხვდნენ?!

და ვცდილობთ ჩვენ, რომ ცოტათი მაინც შეუძლებუქოთ ეს მდგომარეობა? მფიქრობთ, რომ გაჭირებულებს, უახლო-კაროს ხელი გაუწვიდნოთ ძურად და დაცემული ავაყენოთ? მფიქრობთ, რომ ეს დახმარება ჩვენი ზნეობითი მოვალეობა არის?

საუბედუროთ, ათასჯერ საუბედუროთ, ჩვენს ჯერ ამის ნიშნებს ვერა ვხედავთ; ვერ ვხედავთ, რომ ჩვენი საზოგადოება ბევრს რასმე ჰფიქრობდეს, ცდილობდეს და ზრუნავდეს თავის მოძმე ხალხსათვის.

და ეს იქნება უპირველესი და მამაკვდინებელი ცოდეა, რომელსაც ჩვენ ჩავიდნენ ჩვენსა და ჩვენი შთამომავლობის წინაშე, თუ ამგვარი გულ-გრილობა განგრძელდა ჩვენში. ეს დაგვარწმუნებს

მეს ხელი, ითავეთ! და სხე; მაგრამ არა გამოვიდარა; კაცი ყურს არ იბერტყდა.

ბოლოს ერთმა პირმა, ამ ომიანობამდინ უცნობმა, მაიორმა უფ. იოსელიანმა (შარა-მაიორმა) სამახო თუმანი *) შესწირა ქართული თეატრის სასარგებლოდ და იმწამსვე თეატრის საქმე თითქმის სანახევროდ გაჩაღდა: შეიქნენ კრემები, დაუწყეს ძებნა კიდევ ფულებს, ეძებენ ანტრეპრიორერს, აქტიორებსა და აქტრისებს და სხე. და სხე; და ამ მოკლე ხანში იმედია, ჩვენ ვაცნობებთ საზოგადოებას, რომ ქალაქს თფილისში გაიმართა სამუდამო ქართული თეატრი!

ამნაირად ერთი ხელის-კვრა, ერთი წაბიძგება უფ. იოსელიანისაგან საკმაო იყო, რომ თეატრის საქმე ასე კარგად, ასე მარჯვედ დაწყებულიყო ჩვენში.

მეორე გარემოება, რომელიც ჩვენ თეატრის დაარსებასავით გვახარებს, არის ის, რომ ჩვენ ამ წელს დაგვებადა ახალი პოეტი!

*) ჩვენ შეცდომით მოვიხსენეთ გასულ ნომერში, რომ უფ. იოსელიანმა ორასი თუმანი შესწირაო; ორასი კი არა, სამახი შეუწირავს.

სახურება მიუღძღვის ქართული დრამატიკური ლიტერატურის წინაშე; უარს არ იტყვის ამ პოველიკების კისრე ზე და ამნაირად ეცდება, რომ პირველი ნაბიჯები ამ ჩვენ ახალგაზდა თეატრსა მაგრაღ, რიგიანად წაადგევენოს..

* * * ბასუღ ხუთშაბათს ჩამოიყვანეს ქალაქში შვიდი ბათუმელი ქართველი, რომელთაც ერთი სალდათის მოკვლას აბრალდებენ. ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ამ შვიდ კაცს ხსენებულის სალდათის მოკვლაში არაერთარი ბრალი არა აქვთო; ამბობენ, ეს სალდათი ვიღაც გურულემა მოკვლეს ჩხუბის დროსაო.

* * * თუმცა ქალაქის ჩრეგამ ვა უღ კვირა ვად წყურტ, რომ ქალაქის ოვის ამორჩევა დღეს, კვირა, უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ამბობენ, დღეს კენჭსყრა აღარ იქნება, რადგან ყველა ხმოვანები აპირებენ, უკანასკნელი პატივისცემის ნიშნად, გაყოლა ახლად გარდაცვალებულის შაილ ივანეს ძის სურგუნოვისა, რომელსაც დღეს დილით ასაფლავებენ. ღირსიც არის მიცვალებული ამ გვარის პატივისცემისა, რადგან ის იყო ერთი ერთგულ-მშრომელთაგანი ქალაქის ჩრეგისა წასუთი ოთხი წლის განმავლობაში და ერთი უპატიოსნესი დამცველთაგანი ქალაქის ინტერესებისა.

* * * ქალაქში ამ ქამად ჩინებული, თბილი, წყნარი ტაროსი დგას. სოფლები დამაც კარგი ამბები მოგვდის ტაროსზედა და მომავალი წლის მოსავლის პირზედ.

* * * ალფანში, თუმცაში, როგორც ყოველგან ვაჭრობდნენ სომხები, რომლებთაც ჰქონდათ აქ სამელის, ფარხის, საწვრილმანოსი, სამკუდლოს, სამლებროს, ტყავებისა და სხვ. დუქნები მა რამოდენიმე წელიწადია თურმე, რაც ესენი დაბინავებით ცხოვრებდნენ აქადა, რასაკვირველია, სუქდებოდნენ ნელ-

ნელა. დღეს კი ჩამოუქროლათ ალაღ-მან:

მთხმა თემმა, რვა სამამასანლისოთუშებმა დასდევს ურთიერთშორის ხელწერილი, რომ იმათ აღარა სურსთ თავიანთ სოფლებში დუქანი და ამისთვის არ მისცენ ნება არც ამათ და არც სხვა სომხებს ვაჭრობისა!

ეს პირობა დაიწერა რუსულ-ქართულად და მთელმა თუმცაში მოაწერა ხელი. სომხები დარჩნენ პირმშრალნი! პატენტებსა და გილდებს აღარ აძლევდნენ სოფლის უმოწიბობთ. რა ჰქნან? ზოგს არაყი გამოაქეს და ასმევს ხალხს, იქნება ჩემკენ მოვიმხროყო, ზოგი თავს უქონავს იმას სხვა-და-სხვა სომხურ-მელურ ალერსებით, მაგრამ არა! იპქვა და გათავდა! შეუდგნენ ჩუმ-ჩუმით და თითო-თითოთ გაპარვას დამ-დამით, რადგანაც დღისით პირი ერცხვინებათ და ვერ ბედავენ.

დაადეს ხმა, რომ სხვათა შორის მეტყავე-სომხები გაიპარა, დამე ურმებით წაიღო შესაკერათ მიბარებული ტყავები რამოდენიმე ოცი თუმნისაო და სხ. ზოგი ახლაც აქ არიან. სხედან დაკეტილი დუქნის წინ და სთელიან ბუზებსა და გამელელ-გამომგელელებს. ამათ ასე ჰგონიათ, თუმცა გული გაუჭრილდებთ და ისევ ნებას მოგვცემნო; მაგრამ ძნელათ თუ!

თუმცაში თუმცა თელავიც შორსა აქვსთ და თანეთიც უფრო შორს, ყველაფრის მონასყიდენი არიან ბაზრის ხალხივით, მაგრამ მაინც დასთმეს უდუქნობა, ვაჭირება ირჩიეს სომხების აქ ჰყოფნას. რათა თუ იცით? ალბათ ს ნეს ვისიმე ჩაგონებით იმათი გაიძვერობა, იმათი მცნება: „სწიწწ და გლიჯე ხალხნი! ნუ გაქვს იმისი საცოდობა“ და სხვ. ბამოცანა გერგებათ! მაგრამ ერთი ვსთქვათ: რატო სხვებიც კი არ ჰბაძავთ ამათ მაგალითსა! ბამოცდილებამ ვერ დავანახვათ ყოველივე და ვერ დავარწმუნათ ამათ მოქმედებაში!

მიზუნი ბათუმის ქართველების
გარდასახლების
(წერილი მაჭხელიდან)
(დასასრული *)

თუმცა წინეთ ვსთქვი, რომ მაჭახელები წმინდა გურულეები არიან-მეთქი, მაგრამ შემცდარი ვარ: გურულეობს უფრო ქობულეთლები გვანან, მაჭახელი კი იმერელს ჰგავს ლაპარაკით, მოქმედებით და თითქმის ყოველი ხასიათით. მსმლოს ხასიათების მიტყევას და თითქმის დღე-ღღეობით ცვლილებას ხედავს კაცი ამათში, თითქო დამთვრალი კაცი ფხიზლდებოდეს.

შხლა ძრიელ ვაჭირვებაში და სიძვირეში ჩაცვინდენ, ომის წყალობით, და ამას სულ ჩვენ მოსვლას აბრალდებენ და გონიათ, თუ თავს არ უშველეს, სულ ასე იქნებაო. ხორცი ცხერის კარგი, ომის წინეთ, ოყა ორ მარჩილათ იყიდებოდა ბათუმში, ესე იგი სამი გირვანქა ოთხ კაპეკათ; ომის დროს ძროხის ხორცი ოყა ხუთ მარჩილათ; ესლა კი ოყა ხორცს ცხრა შაურათ ყიდულობენ.

შველა ესეები აშინებს საწყალ მაჭხაღიან ქართველებს. მაგრამ მაჭხა-პავეული მამულის დატოება, იმ ქვიცის დატოება, სადაც დაბადებულა, ვაზლილა, სადაც მის საყვარლის ძვლები მარხია, ეძნელება.

მოგვხსენებათ რა საცოდავს მდგომარეობაში არიან ქალები საზოგადოთ მსმალეთში. აქაც ისევე დაჩაგრულები არიან; მაგრამ აქაური ქალი, სუსტი ქმნილება, ყოველთვის პოულაბს ღონის-ძიებას ან თავის სილამაზით, ან სხვებრ რამე მოქმედებით ქმარი ცხვირით ატაროს.

ჩვენ, თუმცა ვერ ვხედავთ მათ, მაგრამ აქაურების შემწეობით ყურს ვადვენით მათ მოქმედებას.

მთელი აქაური ქალების სურვილი ის არის ესლა, რომ თავ თავის ქმრებს ხე-

*) „დროება“, № 35.

დღევანდელს ჩვენს ვაზეთში, ამ მასლაათის* ზემოდაჰ, უეჭველია, მკითხველი ნახავდა პატარა ლექსს, რომლის წაკითხვა დაარწმუნებდა იმას, რომ მე მართალს ვამბობ, რომ ჩვენ მართლა და ნიჭიერი პოეტი დაგვებადა. მკითხველს ესსომება მეორე პატარა ლექსს „მღეგია“ უფ. შაფარბიდისა, რომელიც წლივანდელ „დროების“ მეორე ნომერში იყო დაბეჭდილი.

მართო ამ ორბ ლექსის წაკითხვა საკმაოა, რომ ვსთქვათ, რომ ამათ დამწერს უეჭველი პოეტური ნიჭა აქვს.

უფ. შაფარბიძე (ასევედონიმი), როგორც შევიტყეთ, ჯერ სულ ახალგაზდა ყმაწვილია, სტუდენტი მდესისს უნივერსიტეტისა. შველაზე საინტერესო და ყურადღების ღირსი ის არის, რომ ეს ყმაწვილი სწავლობდა მეთათისის გიმნაზიაში და ამ ორი-სამი წლის წინათ, როგორც დავარწმუნეს, ამ გიმნაზიის მთავრობამ უნიჭობისათვის გამოაგდო ის თურმე გიმნაზიიდან!

როგორ კარგათ გვიმტკიცებს ეს ფაქტი ჩვენი პედაგოგების მახვილ-გონიერებას, იმათ ცოდნას ყმაწვილის ბუნებისა და ტვინის ძალისას!

მოულოცავთ ჩვენს ახალგაზდა პოეტს ასე ჩინებულად, ასე ნიჭიერად გამოსვლას სალიტერატურო ასპარეზზე და ვინატრით, რომ შემდეგი ნაბიჯებიც ისეთივე მარჯვე, ისეთი ბრწყინვალე ყოფილიყოს იმისი, როგორიც ეს პირველია. ვინატრით, რომ ეს ნიჭი ისე უდროვობთ, ისე „დაუმწიფებლად“ არ დაჩაგრულიყოს და არ დამქვარაიყოს, როგორც დაქნა ზოგიერთი ჩვენი ახალგაზდა მწერლების ნიჭი, მაგალითად მ. შალადიდელისა (მარჩაქიძისა) და სხვ.

პისათვის საჭიროა შემუშავება ამ ნიჭისა; დმერთს ნიადაგი მოუცია, კაცი ვალდებულია დახნას, დასთესოს ამ ნიადაგზე და მხოლოდ მერე უნდა მოელოდეს კარგ მოსავალს.. ეს დახნა და დათესა არის განათლება, გონების გახსნა, ტვინის შემუშავება; ეს პოეტისა-

თვისაც ისე საჭიროა, თუ არ უფრო მომეტებულად, როგორც საზოგადოთ ყოველი კაცისათვის.

ძარგი გრძნობა და კარგათ შემუშავებული ტვინი—აი აუცილებელი თვისება პოეტისა. მანსაკუთრებით გრძნობა, გრძნობა, რომელიც ძალ-დაუტანებლად, თავის-ნებით გამოითქმის, რომელიც გულისაგან გაჩენილა და არა მართო ტვინით არის შეთხზული. მხოლოდ იმისთანა პოეტურ თხზულებას აქვს აღამიანზე გავლენა, მხოლოდ ის პოეზია არის ნამდვილი პოეზია, რომელიც ძარტივია და არა ნაკეთები, გულიდგან წარმომდგარა და არა მხოლოდ ტვინში შემუშავებულა..

ამ ორი სასიამოვნო ამბის ცნობით, ამ ორი კარგი შთაბეჭდილებით ვტოვებ მე დღეს ჩემ მკითხველს...

სოლოლაკელი



ლი შეუშალონ წასვლაზე. დიდი მოძრაობა არის მათში: იურებიან მცხოვრებლები ერთმანეთში, აღიღებენ რუსის „ყირალს“, როგორც კაცები იგონებენ სხვა-და-სხვა ამბავს სასარგებლოთ ხეაქრისა, ისე ქალები სასარგებლოდ ჩვენებისა.

ზამოვა ერთი სახლიდამ ჩადრ მოხუჩული ქალი, უქნევს ხელს მეორეს, მეორე მესამეს უძახის, ამ ნაირად შეგროვდებიან და აქეთ ერთმანეთში ერთი რჩევა და ბაასი—თუ როგორ მოახერხონ, რომ თავიანთი ქვრები არ გაუშვან, ამ ქვეყანას არ მოშორდნენ. ზოგი იმდენ მხნეობას იჩენს, პირ-და-პირ აცხადებს, რომ, თუ წაიდა, მე არ გავყვებიო, ბატონ მუდირთან მივალ და ვთხოვო, რომ ქმარს არ გააყოლოს ჩემი თავიო; თუ ამან არ მიშველა, ბათუმს წავალ, იქ შევეხვეწებიო, ან შორხში თავს დავიღრჩობ და ქმრის ცოდვა იყოსო...

აი ამ ნაირი სიტყვები ყოველ ქამ შეგიძლიათ გაიგონოთ აქაური ქალებისაგან. ეს დიდს იმედს მძლევეს მე; მერე კიდევ ძრიელ ხალისს ვხედავ ყმაწვილ საფთხეებში ქართული წიგნის სწავლისას.

მრთის სიტყვით, რასაც ღმერთს ვთხოვდი, ამისრულა, პირველი, და მეორე პირობის ასრულება კი მეზარება: რამდენჯერ მიწატრია, ნეტავ იმ დღეს მომასწრო, რომ საქართველოს შეურთღებოდეს მსმალოს საქართველო და მერე გინდა მე ხეზე ამკრან და თოფით დამხერიტონ-მეთქი.

იმედი მაქვს, მსმლოში არ წაიღენ, გარდა ბეგების და მათი ამალის. ღმერთმაც ისე ინებოს. ეს ჩვენზედ არის დამოკიდებული—როგორ წაიყვანთ საქმეს. ღმერთმა ის დღე ნუ მოგვასწროს, რომ, ისევ ჩვენივე უხეირობის წყალობით, აქ რაიმე უწყობება ან ხალხი არეულობა მომხდარიყოს და ამის გამო ეს ხალხიც ზერქეზებივითა და აბხაზებივით არ გავიდნენ აქედამ. მ დიდ

უბედურება იქნება ამ ქვეყნისათვის და ჩვენთვისაც; არც თვითონ რუსეთის მმართველობისათვის იქნება სასარგებლო ამოდენა მიწა-წყლის გავერანება...

თ. დ. წ. მაჭახელა, 5 თებერვალს.

რუსო ქვეყნები

საზრანგეთი

მრთს ფრანკოზულს ვაზეთში მოყვანილია შემდეგი სიტყვა, რომელიც საზრანგეთის რესპუბლიკის ახალ პრეზიდენტს შულ ბრევის უთქამს პარიჟის მუნიციპალურ რჩევის (ქალაქის რჩევის) დეპუტაციისათვის. ამ სიტყვაში გამოხატულია ბრევის პოლიტიკური აზრები და იმის შეხედულება თავის თანამდებობაზე; მოგვყავს ამ სიტყვიდამ რამდენიმე ალაგი:

„შმაფრესი ჩემი მეცადინეობა ის ქნება, რომ ჩვენმა ხალხმა და მეროპამაც კარგის თვლით დაუწყოს ყურება საზრანგეთის რესპუბლიკას. ამისთვის ყველაზე უპირველესად საჭიროა ზომიერება, არ აჩქარება.

„საზრანგეთი ყველა დიდი ქალაქები რესპუბლიკის მომხრენი არიან; მაგრამ ხალხთან წინ-დახედვითა და ფრთხილად უნდა მოქმედება. სამჯერ ჰქონდა საფრანგეთს რესპუბლიკა; მაგრამ სამივეჯერ მოისპო;—ამის მიზეზი თვითონ რესპუბლიკელები იყვნენ. ახლა ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ რესპუბლიკური მმართველობა მკვიდრად და სამუდამოთ დამყარდეს ჩვენს ქვეყანაში.“

— ტელეგრამამა უკვე გავცნობა ჩვენ, რომ ნაციონალურმა ძრებამ მიიღო და დამტკიცა სამინისტროს პროექტი პოლიტიკურ დამნაშავეების პატიობის შესახებ; კენჭის-ყრის დროს 340 თეთრი მოუვიდა მმართველობის პროექტს და

99 შავი. ამ ქამად კიდევ 1,150 შავია თურმე, რომელნიც, ვმეცადინეობ ქალით, არ არიან განთავისუფლებულნი.

ბოლგარია

ნაციონალური ძრება, რომელმაც ბოლგარიის ახალს კონსტიტუციაზე და მთავრის არჩევაზე უნდა მოიღოს პარკოს, 9 თებერვლისს გაიხსნა ტარნოვოში. მრთი პარტია არის ოურმე ამ ძრებაში: ერთს ჰსურს, ძრებამ გამოაცხადოს, რომ ბოლგარია ერთი და განუყოფელი უნდა იყოსო, მთელი ბოლგარია უნდა ერთს სამთავროს შეადგენდესო; მეორე კი ემორჩილება ბერლინის ტრაქტატის გარდაწყვეტილებას.

რუსეთი

შამის ავთმყოფობა, როგორც იწერებოდა, თან-და-თან ჰკლებულობს ასტრახნისგუბერნიაში. ამ ავთმყოფობით მთელს გუბერნიაში თავიდამვე 500 სულამდინ დახოცილა. ბრაფი ლორის-მელიქოვი, ამბობენ, ძალიან ენერგიულად მოქმედებს.

განცხადებანი

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაუშტა საზოგადოების ვაჟალ-ბელ მოსწავლეთა ვაჟაშობისათვის“ გაგზავნულ კომიტეტისაგან.

რადგანაც „საზოგადოების“ შკოლაში ყველა ვაკანსიები დაჭერილნი არიან, ამიტომ არზის შემოტანა ამ ქამად აღარ შეიძლება. შმაწვილები, რომელნიც ჯერ არ იიან მოყვანილნი, უსათუოდ უნდა გამოცხადდნენ 24 თებერვლამდე თუ არა და გამორიცხულნი იქნებიან სიილამ. ბარედამ მოსიარულე მოწაფეთაგან რომელნი არიან განთავისუფლებულნი სწავლს ფასისაგან—ამის შეტყობა შეიძლება თვით შკოლაში.

(3—2)

რბ. ზზა.	დღი.	ს. დღი.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაპ.	გაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამკურნალო
თფილისი	9/21	18	კაპ.	მ. კაპ.	მ. სი. ყვა. თფილისიდან:		თფილისი, 17 თებერვ.		მრევის მადანზე, წინამძღვარის სახლებში.
მცხეთა	10/11	27	68	38	ძავე სიის აქეთა მხრის ყველა ქალ-ქებში.	50	შქვ. თფ. ბანჯისა, ფთ.	160	ავთმყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ბორი	11/5	9	43	2	40	1	33	30	მ. რ. შაბათს: მერმიშვი და ბა- რლევიჩი—შინაგ. ავთა, მიუჩა- რიანც—საჯარო ექიმი და საშვი- ლოს ოპერაციები.
ხაშური	1/29	11	3	92	2	18	33	75	სამშაბათს: მერმიშვი — ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბავ- შვის, პეუნოვი—თვლის.
სტორამი	1/44		4	42	2	46	23	50	მ. თხშაბათი: მერმიშვი ში- ნაგანი.
შვილი	5/49		5	81	3	23	75	70	სუთ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. მიუჩარიანი—სიფილიტიკუ- რი და საზარღე ორგანების.
რიონი	6/5		6	75	3	75	29	80	პარასკევს: მერმიშვი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.
სამტრედია	7/51		7	73	4	29	76	30	შაბათს: მერმიშვი შინაგ. და პეუნოვი—თვლისა.
ახალ-სენაკი	8/43		8	57	4	76	42	70	
შოთი	9/5		9	75	5	42			
შოთი	9	3							
ახალ-სენაკი	10/14		1	18		6			
სამტრედია	11/5		2	6		14			
რიონი	12/13		3			169			
შვილი	1/18	ლაშ.	3	9		21			
სტორამი	5/12		1	10		5			
ხაშური	5/39		1	37		5			
ბორი	7/5		4	87		36			
მცხეთა	8/50		6	59		9			
თფილისი	9/31		7	56		9			
			7	56		9			
			7	56		9			